საქართველო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
მერია

2800 ქ. ლანჩხუთი კოსტავას ქ. N37 Lanchkhuti@yahoo.com

N 6968
11/12/2017

6968-09-2-201712111637

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს**

**ბატონო ბესიკ,**

გეგზავნებათ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტი განსახილველად.

**პატივისცემით,**

ალექსანდრე სარიშვილი

ა.სარიშვილი

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა

## ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის

## 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ პროექტის

# გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი  ბ ა რ ა თ ი

### ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ:

**პროექტის მიზანი**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცება;

**წარმოდგენილი პროექტის მიღების შედეგი**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობებისა და გასაწევი გადასახდელების ნუსხის დამტკიცება.

**წარმოდგენილი პროექტის აღწერა**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტი წარმოდგენილია საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად, რომელიც მთლიანობაში აერთიანებს შემდეგ ქვეკატეგორიებს: შემოსავლების კლასიფიკაციას, ხარჯების ეკონომიკურ კლასიფიკაციას, ხარჯებისა და არაფინანსური აქტივებით ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციას, არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციას. ასევე ბიუჯეტი შედგენილია ორგანიზაციული კლასიფიკაციის მიხედვით, რაც ითვალისწინებს მხარჯავი დაწესებულებებისა და მათში შემავალი პროგრამების სტრუქტურას.

ამასთან, ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებული პროგრამების ფორმატი წარმოდგენილია პროგრამის მოსალოდნელი შედეგის და შეფასების კრიტერიუმების მიხედვით, რაც განაპირობებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შედეგზე ორიენტირებულობას.

გარდა ამისა, ბიუჯეტის პროექტში წარმოდგენილია 2018-2021 წლების საპროგნოზო მაჩვენებლები.

### ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა **8712.6** ათ. ლარის ოდენობით. მ. შ:

- ✓ **გადასახადები - 1350.0 ათ. ლარი**
- ✓ -საშემოსავლო გადასახადი 450.0 ათ.ლარი
- ქონების გადასახადი - 900.0 ათ. ლარი. მ.შ:
- საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) – 400.0 ათ. ლარი;

- ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადი - 10.0 ათ. ლარი;
- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე - 50.0 ათ. ლარი
- არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე -440.0 ათ. ლარი.

✓ **გრანტები - 6458.6 ათ. ლარი**

- გათანაბრებითი ტრანსფერი -6238.6 ათ. ლარი;
- მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად -**220.0** ათ. ლარი;

✓ **სხვა შემოსავლები - 904.0 ათ. ლარი,** მ. შ:

- შემოსავალი საკუთრებიდან - 160.0 ათ. ლარი;
- საქონლისა და მომსახურების რეალიზცია - 44.0 ათ. ლარი;
- ჯარიმები, სანქციები და საურავები - 700.0 ათ. ლარი;

## ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის ხარჯები

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის ხარჯები პროექტით განსაზღვრულია 8588.6 ათ. ლარი, მ. შ:

✓ შრომის ანაზღაურება -1560.0 ათ. ლარი;
✓ საქონელი და მომსახურება -1351.0 ათ. ლარი;
✓ სუბსიდიები - 5297.0 ათ. ლარი;
✓ სოციალური უზრუნველყოფა - 364.6 ათ. ლარი;
✓ სხვა ხარჯები - 16.0 ათ. ლარი.

## არაფინანსური აქტივების ცვლილება

წარმოდგენილი პროექტით არაფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს 119.0 ათ. ლარს, მ. შ:

- არაფინანსური აქტივების კლება - 45.0 ათ. ლარი.
- არაფინანსური აქტივების ზრდა - 164.0 ათ. ლარი.

## ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის ასიგნებები შეადგენს 8757.6 ათ ლარს, მ. შ: ხარჯები 8588.6 ათ. ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდა 164.0 ათ.ლარი.

ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა განსაზღვრულია - 8757.6 ათ. ლარის ოდენობით.

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია შემდეგი ძირითადი პროგრამების და ღონისძიებების დაფინანსება:**

- მუნიციპალიტეტის ტერიტორის დაგვა-დასუფთავებასა და ნარჩენების გატანაზე, მუნიციპალიტეტში არსებული სკვერების მოვლასა და გამწვანების სამუშაოების ჩატარებაზე, სასაფლაოების მოვლა პატრონობაზე, მუნიციპალიტეტის ტერიტორიის მაწანწალა ძაღლებისგან გასუფთავებაზე მიიმართება 741.5 ათ. ლარი.

- გარე განათების გახარჯული ელექტროენერგიის ანაზღაურებაზე მიიმართება 160,0 ათ. ლარი, ამასთან გარე განათების მოვლა პატრონობის ხარჯზე მიიმართება 300,0 ათ. ათასი ლარი.

- საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობების, ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმისა და მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობისათვის მიიმართება 135,0 ათ. ლარი.

**ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები** პროექტით გათვალისწინებულია 125,0 ათ. ლარი, 107.0 თანხა გაიცემა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ჯანდაცვის ცენტრის მომსახურეობისათვის, რომელიც ფინანსდება დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერით და 18,0 საბიუჯეტო სახსრებით.

**სოციალური დაცვის პროგრამებისათვის** გათვალისწინებულია 510.1 ათ. ლარი.

ქვეპროგრამების დაფინანსება განისაზღვრა დახმარების გაცემის დროებითი წესის შესაბამისად შემდეგ პროგრამებზე:

**06 02 01** - ბიკარბონატული ჰემოდიალეზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამა - 39,8 ათ.ლარი;

**06 02 05** -სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა-50,0 ათ.ლარი

**06 02 04** - მრავალშვილიანთა დახმარების პროგრამა - 32,8 ათ. ლარი;

**06 02 09**- ბავშვთა დღის ცენტრის თანადაფინანსება- 10,0 ლარი;

**06 02 10** - მაღალმთიან სოფლებიდან მოსწავლეთა ტრანსპორტირების მომსახურების პროგრამა 5,5 ათ.ლარი

**06 02 11 01** - მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვების უზრუნველყოფის პროგრამა - 110,0 ათ. ლარი;

**06 02 11 02** - იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა -10,0 ათ. ლარი;

**06 02 11 03** - სხვადასხვა ომებსა და კონფლიქტებში მონაწილე ვეტერანთა დახმარების პროგრამა -51,0 ათ. ლარი;

**06 02 11 05**- მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარებისა და დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა - 170,0 ათ. ლარი;

**06 02 14** - გამარჯვებულ ქალთა კლუბის სარეაბილიტაციო პროგრამა- 30,0 ათ ლარი

**06 02 15** - ხანდაზმულ პირთა დახმარების პროგრამა 1,0 ათ.ლარი

**განათლების პროგრამები** - დაგეგმილია 2200,0 ათ. ლარით.

პროგრამის ფარგლებში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი აფინანსებს საბავშო ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს, ბავშვთა კვებას და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს.

**კულტურის პროგრამები** წარმოდგენილია 995,0 ათ. ლარის ოდენობით, რომელიც მიმართული იქნება შემდეგზე: კულტურის ცენტრის, ბიბლიოთეკების, მუზეუმების, სახელოვნებო სკოლების და სოც. კულტურული ღონისძიებებზე.

**სპორტული პროგრამებისათვის** გათვალისწინებულია 740,0 ათ. ლარი, რომელიც მიმართული იქნება: სპორტული ცენტრის, საფეხბურთო სკოლების დაფინანსებაზე.

**2017 წლის ბიუჯეტში სარეზერვო ფონდი** განისაზღვრა 30,0 ათ. ლარით, ბიუჯეტის ეკონომიკური კლასიფიკაციის შესაბამისად:

სარეზერვო ფონდის გამოყენება განისაზღვრება მხოლოდ იმ განსაკუთრებული შემთხვევებისათვის რომლებიც ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული.

# ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი
# 2018-2021 წლების

## ლაჩხუთის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების, პროგრამების, მათი აღწერის მოსალოდნელი შედეგებისა და შეფასების ინდიკატორები

ბოლო წლებში არსებული სტრატეგიის შესაბამისად პრიორიტეტულ მიმართულებებზე მიმართული სახსრების ზრდამ შესაძლებელი გახადა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება, რითაც თავის მხრივ, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, მუნიციპალიტეტში ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, კულტურისა და სპორტის სფეროების განვითარება.

ზემო აღნიშნულის გათვალიწინებით 2018 -2021 წწ-ში მუნიციპალიტეტის სტრატეგია თითქმის უცვლელია და მოიცავს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობას. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია;
- განათლება;
- კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.
- მმართველობა და თავდაცვა.

### ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ძირითადი მონაცემები 2016 –2021 წლებში

| დასახელება | 2016 წლის ფაქტი | 2017 წლის გეგმა | 2018 წლის პროექტი | 2019 წლის პროგნოზი | 2020 წლის პროგნოზი | 2021 წლის პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|---|
| **შემოსულობები** | 17398010 | 13951052 | 8757600 | 8914400 | 9083400 | 9246400 |
| **შემოსავლები** | 16705504 | 13687552 | 8712600 | 8834400 | 8998400 | 9156400 |
| **არაფინანსური აქტივების კლება** | 692506 | 263500 | 45000 | 80000 | 85000 | 90000 |
| **შემოსავლები** | 16705504 | 13687552 | 8712600 | 8834400 | 8998400 | 9156400 |
| **გადასახადები** | 1553670 | 1550000 | 1350000 | 1365000 | 1385000 | 1390000 |
| საშემოსავლო გადასახადი | 480296 | 550000 | 450000 | 450000 | 450000 | 450000 |
| ქონების გადასახადი | 1073374 | 1000000 | 900000 | 915000 | 935000 | 940000 |
| საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 400529 | 400000 | 400000 | 405000 | 410000 | 410000 |
| ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 17723 | 10000 | 10000 | 10000 | 10000 | 10000 |
| სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 130024 | 90000 | 50000 | 50000 | 55000 | 60000 |
| არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 525098 | 500000 | 440000 | 450000 | 460000 | 460000 |
| **გრანტები** | 14286399 | 11230075 | 6458600 | 6596400 | 6718400 | 6849400 |
| სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი | 14286399 | 11230075 | 6458600 | 6596400 | 6718400 | 6849400 |

| დასახელება | 2016 წლის ფაქტი | 2017 წლის გეგმა | 2018 წლის პროექტი | 2019 წლის პროგნოზი | 2020 წლის პროგნოზი | 2021 წლის პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები | 5516100 | 5574200 | 6458600 | 6596400 | 6718400 | 6849400 |
| გათანაბრებითი ტრანსფერი | 5296100 | 5354200 | 6238600 | 6376400 | 6498400 | 6629400 |
| მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად | 220000 | 220000 | 220000 | 220000 | 220000 | 220000 |
| ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | 8770299 | 5422577 | 0 | 0 | 0 | 0 |
| საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები | 3847552 | 3815577 | 0 | | | |
| სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 806257 | 0 | 0 | | | |
| საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხები | 250000 | 0 | 0 | | | |
| სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე | 3866490 | 1607000 | 0 | | | |
| სხვა | 0 | 233298 | 0 | | | |
| **სხვა შემოსავლები** | 865435 | 907477 | 904000 | 873000 | 895000 | 917000 |
| შემოსავლები საკუთრებიდან | 141781 | 243777 | 191000 | 198000 | 210000 | 222000 |
| პროცენტები | 0 | | | | | |
| რენტა | 141781 | 243777 | 191000 | 198000 | 210000 | 222000 |
| მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის | 90818 | 213777 | 150000 | 160000 | 170000 | 180000 |
| შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან | 43985 | 10000 | 31000 | 27000 | 28000 | 30000 |
| მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვისათვის | 6978 | 20000 | 10000 | 11000 | 12000 | 12000 |
| საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია | 8070 | 13700 | 13000 | 15000 | 15000 | 15000 |
| ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები | 8070 | 13700 | 13000 | 15000 | 15000 | 15000 |
| ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის | 8056 | 13700 | 13000 | 15000 | 15000 | 15000 |
| სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი | 14 | 0 | 0 | | | |
| ჯარიმები, სანქციები და საურავები | 694475 | 650000 | 700000 | 660000 | 670000 | 680000 |
| შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები | 21109 | 0 | 0 | | | |
| **არაფინანსური აქტივების კლება** | 692506 | 263500 | 45000 | 80000 | 85000 | 90000 |
| ძირითადი აქტივები | 659660 | 134400 | 20000 | 30000 | 30000 | 30000 |
| არაწარმოებული აქტივები | 32846 | 129100 | 25000 | 50000 | 55000 | 60000 |
| მიწა | 32846 | 129100 | 25000 | 50000 | 55000 | 60000 |

## 2016-2017 წლების მოკლე მიმოხილვა

2016 წელს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა 17398,0 ათასი ლარი, მათ შორის გადასახადებმა 1553,7 ათასი ლარი, გრანტებმა 14286,4 ათასი ლარი, სხვა შემოსავლებმა 865,4 ათასი ლარი, პრივატიზაციიდან შემოსულმა სახსრებმა 692,5 ათასი ლარი. 2013 წლის ბოლოს ნაშთმა შეადგინა - 403,3 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერიდან 8782,6 ათასი ლარიდან 8532,6 ათ.ლარი მიიმართა ინფრასტრუქტურის ობიექტების დასაფინანსებლად, კერძოდ დაფინანსდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზების და ხიდის მშენებლობა, რეკონსტრუქცია და მოვლა-შენახვა, ასევე ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაოები, მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამუშაოები, ასევე დაფინანსდა პროექტების საპროექტო დოკუმენტაციის ღირებულება, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მიღებული სახსრებით 806,3 ათასი ლარით დაფინანსდა სარწყავი და სანიაღვრე არხების მოწყობა რეაბილიტაცია, შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია, ხიდების და ბოგირების მოწყობა, ასევე ჩატარდა გარე განათების მოწყობის სამუშაოები და შემოღობვის სამუშაოები.

2017 წელს დაგეგმილია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები 13950.6 ათასი ლარი, მათ შორის გადასახადები 1550,0 ათასი ლარი, გრანტები 11212.1 ათასი ლარი, სხვა შემოსავლები 907.5 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების კლებიდან შემოსავალი 263.5 ათასი ლარი.

2017 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერით 5404,7 ათასი ლარიდან დაფინანსდება გზების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და მოვლა-შენახვა, ნაპირსამაგრების და სანიაღვრე არხების მოწყობა, საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია.

გარდა ამისა, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მიღებული სახსრებით 215.8 ათ. ლარი დაფინანსდა აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებები. საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტით ტურიზმის განვითარების სტრატეგიისათვის 17,5 ათ.ლარი.

| ორგ. კოდი | დასახელება | 2016 წლის ფაქტი | 2017 წლის გეგმა | 2018 წლის პროექტი | 2019 წლის პროგნოზი | 2020 წლის პროგნოზი | 2021 წლის პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 01 00 | წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება | 2227666 | 2343350 | 2507000 | 2300000 | 2350000 | 2400000 |
| 02 00 | თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება | 108737 | 110750 | 137000 | 140000 | 142000 | 145000 |
| 03 00 | ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია | 9472445 | 6417349 | 1503500 | 1859000 | 1912000 | 1965000 |
| 04 00 | განათლება | 2172598 | 2660100 | 2200000 | 2250000 | 2270000 | 2280000 |
| 05 00 | კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები | 3022918 | 1863814 | 1775000 | 1723000 | 1747000 | 1773000 |
| 06 00 | მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 579667 | 756445 | 635100 | 642400 | 662400 | 683400 |

## ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების, პროგრამების მათი აღწერის, მოსალოდნელი შედეგებისა და შეფასების ინდიკატორები

1. **ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)**

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება ქალაქის საცხოვრებელი უბნების ეზოების, დასასვენებელი პარკების და მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

| ორგ. კოდი | დასახელება | 2016 წლის ფაქტი | 2017 წლის გეგმა | 2018 წლის პროექტი | 2019 წლის პროგნოზი | 2020 წლის პროგნოზი | 2021 წლის პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 03 00 | ინფრასტრუქტურის მშენებლობა,რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | **9472445** | **6417349** | **1503500** | **1859000** | **1912000** | **1965000** |
| 03 01 | საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა | 4702652 | 3350833 | 100000 | 100000 | 100000 | 100000 |
| 03 02 | კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა–რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 3574824 | 1998084 | 1213500 | 1504000 | 1555000 | 1607000 |
| 03 02 01 | სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 2295234 | 515384 | 0 | | | |
| 03 02 03 | წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 1163 | 4500 | 12000 | 12000 | 12000 | 12000 |
| 03 02 05 | გარე განათება | 555932 | 533400 | 460000 | 542000 | 543000 | 545000 |
| 03 02 06 | დასუფთავების ღონისძიებები | 548123 | 535000 | 741500 | 950000 | 1000000 | 1050000 |
| 03 02 07 | ბინათმშენებლობა | 174372 | 409800 | 0 | | | |
| 03 03 | მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები | 317500 | 718898 | 55000 | 120000 | 120000 | 120000 |
| 03 03 01 | ნაგავდამჭერის მოწყობა მდინარეზე | 0 | 167100 | 0 | 60000 | 60000 | 60000 |

| ორგ. კოდი | დასახელება | 2016 წლის ფაქტი | 2017 წლის გეგმა | 2018 წლის პროექტი | 2019 წლის პროგნოზი | 2020 წლის პროგნოზი | 2021 წლის პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 03 03 02 | საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვისთვის გამოყოფილი თანხა | 35000 | 157353 | 55000 | 60000 | 60000 | 60000 |
| 03 03 03 | მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა | 282500 | 394445 | 0 | | | |
| 03 04 | სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები | 733806 | 0 | 0 | | | |
| 03 05 | სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის ღონისძიებები | 143663 | 349534 | 135000 | 135000 | 137000 | 138000 |
| 03 05 02 | ა(ა)იპ „საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობების, ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმის და მეწარმეობის განვითარების ცენტრი (233733984) | 143663 | 349534 | 135000 | 135000 | 137000 | 138000 |

**1.1 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება და მაწანწალა ცხოველებისგან დაცვა, წყალსადენის შიდა ქსელის მოვლა შენახვა და ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების გადახდა.

**მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:** კომუნალური სერვისებით უზრუნველყოფილი მუნიციპალიტეტის მოსახლეობა.

**შეფასების ინდიკატორები:** კომუნალური სერვისებით უზრუნველყოფილი მოსახლეობის ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში. მოსახლეობის კმაყოფილება.

**1.1.1. წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 03)**

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტს წარმოადგენს სოფლის მოსახლეობისათვის წყლის მიწოდების უზრუნველყოფა, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება წყალსადენის შიდა ქსელის მოვლა შენახვა.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგი:** ხარისხიანი წყლით უზრუნველყოფილი მუნიციპალიტეტის მოსახლეობა.

**შეფასების ინდიკატორები:** წყლით უზრუნველყოფილი მოსახლეობის რაოდენობა. მოსახლეობის კმაყოფილება.

**1.1.2. გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 05)**

დღე–ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგი:** განათებული ტერიტორია.

**შეფასების ინდიკატორები:** სანათი წერტილების რაოდენობა, რომელთაც გაეწია მომსახურება. მოსახლეობის კმაყოფილება.

**1.1.3 დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 06)**

მუნიციპალიტეტის ერთ–ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს კეთილსაიმედო სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა, შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქის სანიტარული წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება; ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან; ღია ნაგავსაყრელის პოლიგონის მოვლა, სხვადასხვა სპორტული და კულტურული ღონისძიებების ჩატარებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი ნარჩენების დაგვა–დასუფთავება და მისი ოპერატიულად გატანა. მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა–დასუფთავება და ნარჩენების გატანა.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგი:** დასუფთავებული ტერიტორია და გაუმჯობესებული სანიტარული მდგომარეობა.

**შეფასების ინდიკატორები:** გატანილი ნარჩენების საერთო რაოდენობა. მოსახლეობის კმაყოფილება.

**1.2 სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 05)**

ქვეპროგრამა ახორციელებს მუნიციპალიტეტში ფერმერული მეურნეობის განვითარების ხელშეწყობას.

**მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:** მხარდაჭერილი სოფლის მეურნეობის დარგში წარმოდგენილი პროექტები.

**შეფასების ინდიკატორები:** მხარდაჭერილი პროექტების რაოდენობა.

**1.2.1 ა(ა)იპ „საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობების, ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმის და მეწარმეობის განვითარების ცენტრი (პროგრამული კოდი 03 05 02)**

ქვეპროგრამა ახორციელებს მუნიციპალიტეტში ფერმერული მეურნეობის განვითარების ხელშეწყობას.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგი:** სოფლის მეურნეობის განვითარების დონის ამაღლება.

**შედეგების შეფასების ინდიკატორები:** განვითარებული სოფლის მეურნეობა.

## 2. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა.

| ორგ. კოდი | დასახელება | 2016 წლის ფაქტი | 2017 წლის გეგმა | 2018 წლის პროექტი | 2019 წლის პროგნოზი | 2020 წლის პროგნოზი | 2021 წლის პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 04 00 | განათლება | 2172598 | 2660100 | 2200000 | 2250000 | 2270000 | 2280000 |
| 04 01 | სკოლამდელი განათლება | 1728464 | 1950000 | 2200000 | 2250000 | 2270000 | 2280000 |
| 04 02 | განათლების ობიექტების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 444134 | 710100 | 0 | | | |

### 2.1 სკოლამდელი განათლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01)

პროგრამის მიზანია საბავშვო ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, გაიხსნას ბაგა–ბაღები ისეთ სოფლებში, სადაც კონტიგენტის დიდი რაოდენობა არსებობს და უზრუნველყოფილი იქნას მათი კეთილმოწყობა და კვალიფიციური პერსონალით მომსახურეობა. ქალაქის საბავშვო ბაღებში მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა–შენახვა.

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს ააიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრი, რომელიც აერთიანებს 21 საბავშვო ბაღს, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 1250–ზე მეტი ბავშვი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს.

**მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:** ბავშვების სკოლისთვის მზაობა.

**შეფასების ინდიკატორები:** სკოლისთვის მზად მყოფი ბავშვების ხვედრითი წილი. კმაყოფილი მოსახლეობა.

## 3. კულტურა, რელიგია , ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე ერთ–ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

შესაბამისად მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება, ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ჩატარებას.

| ორგ. კოდი | დასახელება | 2016 წლის ფაქტი | 2017 წლის გეგმა | 2018 წლის პროექტი | 2019 წლის პროგნოზი | 2020 წლის პროგნოზი | 2021 წლის პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 05 00 | კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები | 3022918 | 1863814 | 1775000 | 1723000 | 1747000 | 1773000 |
| 05 01 | სპორტის განვითარების ხელშეწყობა | 1906800 | 777800 | 740000 | 732000 | 750000 | 770000 |
| 05 01 02 | ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფეხბურთო კლუბი ,,ლანჩხუთის გურია" (233734126) | 626880 | 88000 | 0 | | | |
| 05 01 03 | ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრი (433642178) | 380899 | 363000 | 365000 | 370000 | 375000 | 380000 |
| 05 01 04 | ა(ა)იპ გოგონათა ექსპერიმენტალური სარაგბო-საფეხბურთო სკოლა (433645004) | 72495 | 66800 | 70000 | 72000 | 75000 | 80000 |
| 05 01 06 | ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა (433642203) | 185414 | 160000 | 160000 | 165000 | 170000 | 175000 |
| 05 01 07 | ა(ა)იპ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდი ს/კ 405135786 | 535113 | 0 | 0 | | | |
| 05 01 08 | შ.პ.ს ლანჩხუთი ს/კ 233645419 | 105999 | 100000 | 145000 | 125000 | 130000 | 135000 |
| 05 02 | კულტურის განვითარების ხელშეწყობა | 1116118 | 1086014 | 1035000 | 991000 | 997000 | 1003000 |
| 05 02 01 | ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანება (233731478) | 1013499 | 910000 | 910000 | 915000 | 920000 | 925000 |
| 05 02 06 | სოც კულტურული ღონისძიებები | 25793 | 48014 | 35000 | 36000 | 37000 | 38000 |
| 05 02 07 | კულტურის ობიექტების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 21826 | 88000 | 50000 | | | |
| 05 03 | რელიგიის დაფინანსება | 55000 | 40000 | 40000 | 40000 | 40000 | 40000 |

### 3.1 სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტსმენთა მომზადების ორგანიზაციური და მეთოდური ხელშეწყობა, სპორტულ ასოციაციასთან, კავშირებთან, სპორტულ ფედერაციებთან და სხვადასხვა სპორტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა. კლუბების, გუნდების მომზადება და მონაწილეობა ქვეყნის სპორტულ ღონისძიებებში. 2018 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები.

პროგრამით ხორციელდება სპორტული ცენტრის და საფეხბურთო სკოლების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა.

**მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:** მოსახლეობის დაინტერესება ჯანსაღი სპორტული წესით და სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებში მათი ჩართულობის ზრდა.

**შეფასების ინდიკატორები:** სპორტულ ღონისძიებებში ჩართული მოსახლეობის რაოდენობა.

### 3.1.1. სპორტული ცენტრი (პროგრამული კოდი 05 01 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩართვა სისტემატიურ სპორტულ გამაჯანსაღებელ მოძრაობაში, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და დამკვიდრება. სკოლა აერთიანებს ძიუდოს, ბალახის ჰოკეის, ჭადრაკის, მაგიდის ჩოგბურთის, ცურვის, კარატე დოს, რაგბის, თავისუფალი ჭიდაობის, ბერძნულ რომაული ჭიდაობის, ქართული ჭიდაობის, ხელბურთის, კრივის სპორტულ წრეებს, სადაც გაერთიანებულია 350 სპორტსმენი. მუნიციპალიტეტიდან ფინანსდება ყველა მიმდინარე ხარჯი.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგი:** სკოლებში არსებული სპორტის სახეობების მიხედვით ნაკრები გუნდების დაკომპლექტება და შეჯიბრებებში მონაწილეობა

**შედეგების შეფასების ინდიკატორები:** სამხარეო, რესპუბლიკურ და საერთაშორისო შეჯიბრებებზე წარმატებული სპორტსმენების რაოდენობა.

### 3.1.2. ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გოგონათა ექსპერიმენტალური სარაგბო-საფეხბურთო სკოლა (პროგრამული კოდი 05 01 04)

მუნიციპალიტეტი ახორციელებს გოგონათა ექსპერიმენტალური სარაგბო -საფეხბურთო სკოლის ფინანსურ მხარდაჭერას რომელიც ემსახურება ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩართვა სისტემატიურ სპორტულ გამაჯანსაღებელ მოძრაობაში და მომავალი თაობების ჩამოყალიბებას პროფესიონალ ფეხბურთელებად.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგი:** ფეხბურთის რაგბის ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების აღმოჩენა და მათი შემდგომი განვითარების ხელშეწყობა

**შედეგების შეფასების ინდიკატორები:** აღსაზრდელთა ფეხბურთით და რაგბით დაინტერესება და ღონისძიებაში ჩართული ახალგაზრდა სპორტსმენთა რაოდენობა.

### 3.1.3 ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა (პროგრამული კოდი 05 01 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება საფეხბურთო სკოლის ყველა ხარჯის დაფინანსებას, რომელიც ემსახურება ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩართვა სისტემატიურ სპორტულ გამაჯანსაღებელ მოძრაობაში და მომავალი თაობების ჩამოყალიბებას პროფესიონალ ფეხბურთელებად.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგი:** ფეხბურთის ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების აღმოჩენა და მათი შემდგომი განვითარების ხელშეწყობა.

**შედეგების შეფასების ინდიკატორები:** აღსაზრდელთა ფეხბურთით დაინტერესება და საფეხბურთო გუნდების ახალგაზრდა სპორტსმენებით შევსების რაოდენობა.

### 3.1.4 შ.პ.ს „ლანჩხუთი " ს/კ 233645419 (პროგრამული კოდი 05 01 08)

ქვეპროგრამით განხორციელდება საფეხბურთო სტადიონის მოვლა პატრონობის ხარჯების დაფინანსება

**მოსალოდნელი შუალედური შედეგი:** მუნიციპალური სტადიონის მოვლა-პატრონობა.

**შედეგების შეფასების ინდიკატორები:** მოვლილი საფეხბურთო სტადიონი.

### 3.2 კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აგრძელებს სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას. განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, თეატრალური, მუსიკალური, სახვითი, ქორეოგრაფიული ფესტივალების, კონცერტების, მუზეუმებში გამოფენის მოწყობა, ასევე სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

### 3.2.1 კულტურის დაწესებულებათა გაერთიანება (პროგრამული კოდი 05 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება მუნიციპალური კულტურის ცენტრი,რომელიც ეწევა მოსახლეობის კულტურულ საგანმანათლებლო და შემეცნებით მოღვაწეობას; ხალხური ხელოვნების ყველა დარგის განვითარების ხელშეწყობას; ეროვნული ტრადიციების წესჩვეულებების პოპულარიზაციას; ფოლკლორული ანსამბლების ნიჭიერი ინდივიდუალური შემსრულებლების საქმიანობის ხელშეწყობას.
მოსწავლე ახალგაზრდობის თავისუფალი დროის სწორად ორგანიზებას მიზნობრივი წრეების,სტუდიების,ფოლკლორული ანსაბლების ჩამოყალიბებას.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგი:** მოსწავლე ახალგაზრდობაში ხალხური შემოქმედებითი დარგების, მივიწყებული ტრადიციების აღორძინება პოპულარიზაცია.

**შედეგების შეფასების ინდიკატორები:** ქართული ხალხური, ქორეოგრაფიული და ხალხური ფოლკლორის განვითარება, პოპულარიზაცია და კმაყოფილი მოსახლეობა.

**ბიბლიოთეკა** - მოსახლეობის მოთხოვნების ინტერესების შესწავლა და ანალიზი, მათი მომსახურებისათვის სათანადო პირობების შექმნა. ქართული ეროვნული ბიბლიოგრაფიის მასალების მოპოვება, ქსელი აერთიანებს 14 ბიბლიოთეკას. ბიბლიოთეკა ახორციელებს შემდეგ ღონისძიებებს: ქალაქის, დაბის და სოფლის ბიბლიოთეკების ხელშეწყობას; წიგნადი ფონდის შევსებას თანამედროვე ლიტერატურით და დაკომპლექტებას ყველა ასაკობრივი კატეგორიის მიხედვით.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგი:** ყველა ასაკის მკითხველის საბიბლიოთეკო, საინფორმაციო, ბიბლიოგრაფიული მომსახურება, წიგნისადმი მოსახლეობის ინტერესის ზრდა.

**შედეგების შეფასების ინდიკატორები:** ყველა ასაკის მკითხველთა რაოდენობის ზრდა.

**მუზეუმები** ქვეპროგრამა ითვალისწინებს კულტურული ობიქტების მოძიებას და პოპულარიზაციას, სამუზეუმო საქმიანობისთვის ხელშეწყობას. ქსელი აერთიანებს 3 მუზეუმს.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგი:** მოსახლეობისათვის ისტორიული მნიშვნელობის კულტურის გაცნობა.

**შედეგების შეფასების ინდიკატორები:** კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია.

. **სახელოვნებო სკოლები**-მუნიციპალიტეტი ახორციელებს სკოლისგარეშე სახელოვნებო დაწესებულებების ფინანსურ მხარდაჭერას მათ შორის:

- ააიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მ.ორაგველიძის სახელობის სამუსიკო სკოლის დაფინანსებას, სადაც განათლებას იღებს 100–ზე მეტი ბავშვი, სწავლის გადასახადი შეადგენს 15 ლარს, საკუთარი სახსრებით ფინანსდება ნაწილობრივ ხელფასი და ხარჯები მთლიანად, სუფსიდიით ხდება ხელფასის დაფინანსება. სკოლის მიზანია მიაღებინოს მოსწავლეებს მუსიკალური განათლება, წარმატებული მოსწავლეების გამოსავლენად ჩაატაროს საანგარიშო კონცერტები.
- ააიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სუფსის სამუსიკო სკოლა, სადაც განათლებას იღებს 90 ბავშვი, სწავლის გადასახადი შეადგენს 15 ლარს, საკუთარი სახსრებით ფინანსდება ნაწილობრივ ხელფასი და ხარჯები მთლიანად, სუფსიდიით ხდება ხელფასის დაფინანსება.
- ააიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა, სადაც განათლებას იღებს 100– მდე ბავშვი, სუფსიდიით ხდება ხელფასის და სხვა მიმდინარე ხარჯების დაფინანსება. სკოლის მიზანია მისცეს მოსწავლეებს დაწყებითი სამხატვრო განათლება, გააცნოს და შეაყვაროს მოსწავლეებს ეროვნული კულტურული მემკვიდრეობა, ქართული და მსოფლიო ხელოვნების ნიმუშები.

**მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:** კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა. კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და განვითარება. საბიბლიოთეკო წიგნების ფონდის განახლების გზით მოსახლეობის წიგნებისადმი დაინტერესება. მუნიციპალიტეტში მუსიკალური და სამხატვრო განათლების განვითარების ხელშეწყობა. მუზეუმების პოპულარიზაციის დონის გაზრდა, სამუზეუმო ექსპონატების დაცვა. რეაბილიტირებული ჭადრაკის სახლი.

**შეფასების ინდიკატორები:** კულტურულ ღონისძიებებში ჩართული მოსახლეობის რაოდენობა.

### 3.2.2. სოც კულტურული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 02 06)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობისათვის სხვადასხვა სახის ღონისძიებების ორგანიზების ხელშეწყობას, წარმატებული მოსწავლე ახალგაზრდობის წახალისებას სხვადასხვა სახის პრიზებით და საჩუქრებით. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება კულტურულ-სპორტული ღონისძიებები: სახელმწიფო, სახალხო და რელიგიური დღესასწაულის აღსანიშნავი ღონისძიებები; საშემსრულებლო, ვიზუალური, თანამედროვე ხელოვნების, ქართული

ფოლკლორის განვითარებისა და პოპულარიზაციისათვის ფესტივალების და კონცერტები; სხვადასხვა ქვეყნების ქალაქების კულტურულ და შემოქმედებით კოლექტივებთან და ინტელიგენციასთან კონტაქტების დამყარება და არსებული ურთიერთობების გაღრმავება; გამოჩენილი ადამიანების და საზოგადო მოღვაწეების საიუბილეო ღონისძიებების და შემოქმედებითი საღამოები; მასშტაბური სადღესასწაულო ღონისძიებების ორგანიზება; კულტურულ–საგანმანათლებლო და სხვა ღონისძიებები.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგი:** მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობისათვის სხვადასხვა სახის ღონისძიებებზე ჩართულობის მოტივაციის გაზრდა

**შედეგების შეფასების ინდიკატორები:** ღონისძიებაში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობა.

**3.3 რელიგიის დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 03)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე ზოგიერთ ტაძრისადმი მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელდება მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები.

**მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:** ეკლესია მონასტრების, სასულიერო სასწავლებლის ფუნქციონირების ხელშეწყობა.

**შეფასების ინდიკატორები:** კმაყოფილი მოსახლეობა.

**4. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (06 00)**

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ–ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათების უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში განაგრძობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებისაგან.

| ორგ. კოდი | დასახელება | 2016 წლის ფაქტი | 2017 წლის გეგმა | 2018 წლის პროექტი | 2019 წლის პროგნოზი | 2020 წლის პროგნოზი | 2021 წლის პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 06 00 | მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 579667 | 756445 | 635100 | 642400 | 662400 | 683400 |
| 06 01 | ჯანდაცვის პროგრამები | 130384 | 285545 | 125000 | 125000 | 125000 | 125000 |
| 06 01 01 | ა(ა)იპ ლანჩხუთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი (233730763) | 130384 | 124000 | 125000 | 125000 | 125000 | 125000 |
| 06 01 02 | ჯანდაცვის ობიექტების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 0 | 161545 | 0 | | | |

| ორგ. კოდი | დასახელება | 2016 წლის ფაქტი | 2017 წლის გეგმა | 2018 წლის პროექტი | 2019 წლის პროგნოზი | 2020 წლის პროგნოზი | 2021 წლის პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 06 02 | სოციალური პროგრამები | 449283 | 470900 | 510100 | 517400 | 537400 | 558400 |
| 06 02 01 | ბიკარბონატული ჰემოდიალეზით – თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამა | 34848 | 30960 | 39800 | 40000 | 42000 | 44000 |
| 06 02 04 | მრავალშვილიან ოჯახთა დახმარების პროგრამა | 33400 | 32000 | 32800 | 35000 | 36000 | 38000 |
| 06 02 05 | სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით  დახმარების პროგრამა | 0 | 40540 | 50000 | 55000 | 60000 | 65000 |
| 06 02 09 | ა(ა)იპ სარეაბილიტაციო ცენტრი იავნანა (433642356) | 10000 | 10000 | 10000 | 10000 | 10000 | 10000 |
| 06 02 10 | მაღალმთიან  სოფლებიდან მოსწავლეთა ტრანსპორტირების მომსახურების პროგრამა | 5370 | 5400 | 5500 | 5400 | 5400 | 5400 |
| 06 02 11 | სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება | 350065 | 331000 | 341000 | 351000 | 363000 | 375000 |
| 06 02 11 01 | ა(ა)იპ  უფასო სასადილო მზრუნველობამოკლებულთათვის (233730772) | 76555 | 100000 | 110000 | 115000 | 120000 | 125000 |
| 06 02 11 02 | იძულებით  გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა | 10800 | 10000 | 10000 | 10000 | 10000 | 10000 |
| 06 02 11 03 | სხვადასხვა ომებსა და კონფკლიქტებში მონაწილე ვეტერანთა დახმარების პროგრამა | 44950 | 48000 | 51000 | 51000 | 53000 | 55000 |
| 06 02 11 04 | ჰუმანიტარული ორგანიზაციების თანადაფინანსების, ეროვნულ სკრინინგ ცენტრიდან და სამედიცინო დაწესებულებაში მოწვეული  სპეციალისტის ბინით უზრუნველყოფა | 4800 | 0 | 0 | | | |
| 06 02 11 05 | მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის და ერთჯერადი დახმარების პროგრამა | 212960 | 173000 | 170000 | 175000 | 180000 | 185000 |
| 06 02 14 | ,,გამარჯვებულ ქალთა კლუბის" სარეაბილიტაციო პროგრამა | 15000 | 20000 | 30000 | 20000 | 20000 | 20000 |
| 06 02 15 | ხანდაზმულ (100 და მეტი წლის ასაკის ) პირთა დახმარების პროგრამა | 600 | 1000 | 1000 | 1000 | 1000 | 1000 |

### 4.1. ჯანდაცვის პროგრამები (პროგრამული კოდი 06 01)

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას,  კერძოდ: არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება; ეპიდსიტუაციის გამწვავების

დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკური ღონისძიებათა გატარება; სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარება საცხოვრებელი სახლების სარდაფებსა და ბუნკერებში და ამის საფუძველზე მუნიციპალიტეტში ეპიდსიტუაციის გაუმჯობესება; მუნიციპალიტეტში არსებული სანიტარულ–ჰიგიენური მდგომარეობის მონიტორინგი, მოსახლეობისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიებზე ადამიანისათვის საშიში და შხამიანი ცხოველების ცხოველმყოფელობის დადგენისა და გაუვნებელყოფის ღონისძიებები და სხვა.

აღნიშნული პროგრამის განმახორციელებელია ა(ა)იპ ლანჩხუთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი.

**მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:** მუნიციპლიტეტის ტერიტორიაზე გადამდები დაავადების პრევენციის უზრუნველყოფა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარული ნორმების დაცვა. ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა;

**შეფასების ინდიკატორები:** დაავადებების პრევენციის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების რაოდენობა, დაცული სანიტარული ღონისძიებების მქონე ობიექტების რაოდენობა.

### 4.1.1 . საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი 06 01 01)

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:

- არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება
- ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკური ღონისძიებათა გატარება
- სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარება საცხოვრებელი სახლების სარდაფებსა და ბუნკერებში და ამის საფუძველზე მუნიციპალიტეტში ეპიდსიტუაციის გაუმჯობესება
- მუნიციპალიტეტში არსებული სანიტარულ–ჰიგიენური მდგომარეობის მონიტორინგი, მოსახლეობისაშვის ჯანსაღი გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიებზე ადამიანისათვის საშიში და შხამიანი ცხოველების ცხოველმყოფელობის დადგენისად და გაუვნებელყოფის ღონისძიებები.

### 4.2 სოციალური პროგრამები (პროგრამული კოდი 06 02)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებების უზრუნველყოფას. მზრუნველობამოკლებულთათვის უფასო კვებითა და ფართით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, სხვა სოციალური პროგრამებს, რომლებიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

**მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:** შეჭივრებულ მოსახლეობისათვის შესაძლებლობის ფარგლებში შექმნილი შეღავათიანი გარემო.

**შეფასების ინდიკატორები:** მონაწილე ბენეფიციართა რაოდენობა, კმაყოფილი მოსახლეობა.

**4.2.1 ბიკარბონატული ჰემოდიალეზით – თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო საწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 01)**

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:

ჰემოდიალეზით დაავადებულებისათის სატრანსპორტო ხარჯის დაფინანსება

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის პრევენცია

**შედეგების შეფასების ინდიკატორები;** კმაყოფილი მოსახლეობა.

**4.2.2 მრავალშვილიანთა დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 04)**

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:

მრავალშვილიანი ოჯახების, რომელთაც ჰყავთ 16 და ნ 18 წლამდე ასაკის 4 და მეტი შვილი (სარეიტინგო ქულა 101000 მდე) და 18 წლამდე ასაკის 4 და მეტი შვილი (სარეიტინგო ქულა 101000 ზევით) ყოველთვიური დახმარება

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:** მრავალშვილიანი ოჯახების ყოველთვიური ფინანსური დახმარება. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები და რეგისტრირებული მოსახლეობის სოციალური დახმარება და დემოგრაფიული მდგომარეობის ხელშეწყობა

**შედეგების შეფასების ინდიკატორები;** კმაყოფილი მოსახლეობა.

**4.2.3 სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 05 )**

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები და რეგისტრირებული მოქალაქეების სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარება - თანადაფინანსება და ,,ც“ ჰეპატიტით დაავადებულ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების დიაგნოსტიკური კვლევების დაფინანსება.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები და რეგისტრირებული მოსახლეობის სოციალური დახმარება და დემოგრაფიული მდგომარეობის ხელშეწყობა.

**შედეგების შეფასების ინდიკატორები:** კმაყოფილი მოსახლეობა.

**4.2.4. ბავშვთა დღის ცენტრ იავნანას თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 06 02 09 )**

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები, ცენტრ იავნანაში დარეგისტრირებული 24 სოციალურად დაუცველი ბავშვის ფსიქო–სოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობა

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები, ცენტრ იავნანაში დარეგისტრირებული 24 სოციალურად დაუცველი ბავშვების სოციალური რეაბილიტაცია.

**შედეგების შეფასების ინდიკატორები;** ბავშვების ფსიქო–სოციალური რეაბილიტაცია

**4.2.5 მაღალმთიან სოფლებში მცხოვრებ მოსწავლეთა ტრანსპორტირების მომსახურების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 10 )**

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:

მაღალმთიან სოფლებში მცხოვრებ მოსწავლეთა ტრანსპორტირება

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:** მაღალმთიანი სოფლებიდან მოსწავლეთა მგზავრობის ხელშეწყობა.

**შედეგების შეფასების ინდიკატორები;** მოსწავლე –ახალგაზრდობის ხელშეწყობა.

**4.2.6. სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება (06 02 11)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარების და იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების ღონისძიებების დაფინანსება

**4.2.6.1 მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 11 01)**

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მცხოვრები და რეგისტრირებული უკიდურესად შეჭირვებული მოხუცებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ( 0 დან 57000 –მდე ქულის მქონე) 60 ბენეფიციარის ერთჯერადად კვება ყოველდღიურად უფასო სასადილოში.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მცხოვრები და რეგისტრირებული უკიდურესად შეჭირვებული მოხუცებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დახმარება.

**შედეგების შეფასების ინდიკატორები;** კმაყოფილი ბენეფიციალების რაოდენობა.

**4.2.6.2 იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 11 02)**

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახების სათბობი შეშით უზრუნველყოფა ერთჯერადად.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მცხოვრები და რეგისტრირებული იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარება.

**შედეგების შეფასების ინდიკატორები;** შეშით უზრუნველყოფილი ბენეფიციალები.

**4.2.6.3 . სხვადასხვა ომებსა და კონფლიქტებში მონაწილე ვეტერანთა დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 11 03)**

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:

ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი მეომრების ოჯახებისათვის ყოველთვიურ დახმარებას , ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:

ომის მონაწილეთა გარდაცვალების შემთხვევაში მათი ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარება 250 ლარის ოდენობით

ომის მონაწილეთათვის ერთჯერადი დახმარება.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:** ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლი მეომრების ოჯახების ხელშეწყობა, გარდაცლილი ომის მონაწილის ოჯახის დახმარება.

**შედეგების შეფასების ინდიკატორები;** ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში გარდაცვლილი მეომრების პატივის მიგება და მათი ოჯახების დახმარება, დაფასებული ომის მონაწილეები და მათი ოჯახები.

**4.2.6.4 მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარებისა და დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 11 05)**

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:

მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარება და დროებით თავშესაფრით უზრუნველყოფა

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:** სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულთა ოჯახების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება.

**შედეგების შეფასების ინდიკატორები;** საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებული მოსახლეობის რაოდენობა.

**4.2.7 ,,გამარჯვებულ ქალთა კლუბის" სარეაბილიტაციო პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 14)**

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:

ძუძუს კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალების რეაბილიტაცია და მხარდაჭერა

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:** ძუძუს კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალების რეაბილიტაციის ხელშეწყობა

**შედეგების შეფასების ინდიკატორები;** ძუძუს კიბოს ნაოპერაციები ქალების სოციალიზაციისა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებული ბენეფიციალთა რაოდენობა.

**4.2.8 ხანდაზმულ პირთა დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 15 )**

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:

100 და მეტი წლის პირთა დახმარება

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:** ხანდაზმულ პირთა პირობების გაუმჯობესება

**შედეგების შეფასების ინდიკატორები;** ხანდაზმულთა დაფასება და ხელშეწყობა

**5. მმართველობა და თავდაცვა. (პროგრამული კოდი 01 00, 02 00)**

პრიორიტეტის ფარგლებში გამხორციელდება წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება.

**5.1. მმართველობა**

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების გამართული და კვალიფიციური მუშაობა. პრიორიტეტი მოიცავს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც ადმინისტრაციული ხასიათისაა და ხელს უწყობს სისტემის გამართულ ფუნქციონირებას, როგორიცაა მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეულების, მუნიციპალიტეტის საკრებულოს, აპარატის შენახვის ხარჯები, მათ შორის: თანამდებობრივი სარგო, ჯილდო, დანამატი და სხვა. ასევე, მოიცავს ბიუჯეტის სარეზერვო ფონდს, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდს, ვალების დაფარვის ხარჯებს.

**მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:** კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების მარალხარისხიანი განხორციელება.

**შეფასების ინდიკატორები:** საჯარო მმართველობის შეფასებისას მაღალი ქულა. კმაყოფილი მოსახლეობა.

## 5.2. თავდაცვა

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

**მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:** კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების მარალხარისხიანი განხორციელება.

**შეფასების ინდიკატორები:** დელეგირებული ფუნქციის ზედამხედველი ორგანოს შეფასება.

| ორგ. კოდი | დასახელება | 2016 წლის ფაქტი | 2017 წლის გეგმა | 2018 წლის პროექტი | 2019 წლის პროგნოზი | 2020 წლის პროგნოზი | 2021 წლის პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 01 00 | წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება | 2227666 | 2343350 | 2507000 | 2300000 | 2350000 | 2400000 |
| 02 00 | თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება | 108737 | 110750 | 137000 | 140000 | 142000 | 145000 |

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო
და მუნიციპალური შესყიდვების სამსახური

2800 ქ. ლანჩხუთი კოსტავას ქ. N37 Lanchkhuti@yahoo.com

N 1476
11/12/2017

1476-09-3-201712111601

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციული სამსახურის უფროსს
ქალბატონ მაგული კუნჭულიას

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფინანსო საბიუჯეტო
და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის

**გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი**

გიგზავნით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტს საკრებულოში წარსადგენად.

**პატივისცემით,**

**როლანდი ლაშხია**

**სამსახურის უფროსი**

**საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახური**

**პროექტი**

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**დადგენილება №**

**2017 წლის დეკემბერი**

**ქ. ლანჩხუთი**

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1.** დამტკიცდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი თანდართული რედაქციით::

1. განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის მაჩვენებლები I თავის შესაბამისად, კერძოდ:

ა) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება 1-ლი მუხლის თანახმად.

ბ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის ბალანსი მე-2 მუხლის თანახმად;

2. განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები II თავის შესაბამისად, კერძოდ:

ა) განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შემოსავლები მე-3 მუხლის თანახმად;

ბ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის გადასახადები მე-4 მუხლის თანახმად;

გ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის გრანტები მე-5 მუხლის თანახმად;

დ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები მე-6 მუხლის თანახმად;

3. განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის ხარჯები, არაფინანსური აქტივები და მათი ფუნქციონალური კლასიფიკაცია III თავის შესაბამისად, კერძოდ:

ა) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის ხარჯები მე-7 მუხლის თანახმად;

ბ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება მე-8 მუხლის თანახმად;

გ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაცია მე-9 მუხლის თანახმად;

4. განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება IV თავის შესაბამისად, კერძოდ:

ა) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის მთლიანი სალდო მე–10 მუხლის თანახმად;

ბ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება მე–11 მუხლის თანახმად;

გ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება მე–12 მუხლის თანახმად;

5. განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები 2018-2021 წლებისთვის, პროგრამები/ქვეპროგრამები V თავის შესაბამისად, კერძოდ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები მე–13 მუხლის თანახმად;

6. განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის ასიგნებები VI თავის შესაბამისად, კერძოდ:

ა) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის ასიგნებები მე–14 მუხლის თანახმად;

7. განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის მარეგულირებელი ნორმები VII თავის მე-15 – 24 მუხლების შესაბამისად.

**მუხლი 2**. დადგენილება ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან.

**საკრებულოს თავმჯდომარე:** **ბესიკ ტაბიძე**

## თავი I

### ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

### მუხლი 1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

| დასახელება | 2016 წლის ფაქტი | 2017 წლის გეგმა | | | 2018 წლის პროექტი | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | საკუთარი შემოსავლები |
| **შემოსულობები** | **17398010** | **13933538** | **5422577** | **8510961** | **8757600** | **8757600** |
| შემოსავლები | 16705504 | 13670038 | 5422577 | 8247461 | 8712600 | 8712600 |
| არაფინანსური აქტივების კლება | 692506 | 263500 | | 263500 | 45000 | 45000 |
| ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით) | 0 | 0 | | | | |
| ვალდებულებების ზრდა | 0 | 0 | | | | |
| **გადასახდელები** | **16913227** | **13875123** | **5444981** | **8430142** | **8752600** | **8752600** |
| ხარჯები | 8426772 | 8306568 | 282000 | 8024568 | 8588600 | 8588600 |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 8486455 | 5568555 | 5162981 | 405574 | 164000 | 164000 |
| ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით) | 0 | | | | | |
| ვალდებულებების კლება | 0 | | | | 5000 | 5000 |
| **ნაშთის ცვლილება** | **484783** | **58415** | **-22404** | **80819** | **0** | **0** |

### მუხლი 2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით

| დასახელება | 2016 წლის | 2017 წლის გეგმა | 2018 წლის პროექტი |
|---|---|---|---|

| | ფაქტი | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | საკუთარი შემოსავლები |
| **შემოსავლები** | **16705504** | **13687552** | **5422577** | **8264975** | **8712600** | **8712600** |
| გადასახადები | 1553670 | 1550000 | | 1550000 | 1350000 | 1350000 |
| გრანტები | 14286399 | 11230075 | 5422577 | 5807498 | 6458600 | 6458600 |
| სხვა შემოსავლები | 865435 | 907477 | | 907477 | 904000 | 904000 |
| **ხარჯები** | **8426772** | **8306568** | **282000** | **8024568** | **8588600** | **8588600** |
| შრომის ანაზღაურება | 1758160 | 1576800 | 0 | 1576800 | 1560000 | 1560000 |
| საქონელი და მომსახურება | 767683 | 1002404 | 0 | 1002404 | 1351000 | 1351000 |
| სუბსიდიები | 4830094 | 5047064 | 0 | 5047064 | 5297000 | 5297000 |
| გრანტები | 535113 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 344348 | 343500 | 0 | 343500 | 364600 | 364600 |
| სხვა ხარჯები | 191374 | 336800 | 282000 | 54800 | 16000 | 16000 |
| **საოპერაციო სალდო** | **8278732** | **5380984** | **5140577** | **240407** | **124000** | **124000** |
| არაფინანსური აქტივების ცვლილება | 7793949 | 5305055 | 5162981 | 142074 | 119000 | 119000 |
| ზრდა | 8486455 | 5568555 | 5162981 | 405574 | 164000 | 164000 |
| კლება | 692506 | 263500 | | 263500 | 45000 | 45000 |
| **მთლიანი სალდო** | **484783** | **75929** | **-22404** | **98333** | **5000** | **5000** |
| **ფინანსური აქტივების ცვლილება** | **-186021** | **-200756** | **-142783** | **-57973** | **0** | **0** |
| ზრდა | 34641 | 0 | | | 0 | |
| კლება | 220662 | 200756 | 142783 | 57973 | 0 | |
| **ვალდებულებების ცვლილება** | | | | | **-5000** | **-5000** |
| კლება | 670804 | 276685 | 120379 | 156306 | 5000 | 5000 |
| საშინაო | 670804 | 276685 | 120379 | 156306 | 5000 | 5000 |
| **ბალანსი** | **0** | **0** | **0** | **0** | 0 | 0 |

## თავი II

## ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

### მუხლი 3. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 8712600 ლარის ოდენობით

| დასახელება | 2016 | 2017 წლის გეგმა | 2018 წლის პროექტი |
|---|---|---|---|

| | წლის ფაქტი | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | საკუთარი შემოსავლები |
| **შემოსავლები** | **16705504** | **13670038** | **5422577** | **8247461** | **8712600** | **8712600** |
| გადასახადები | 1553670 | 1550000 | | 1550000 | 1350000 | 1350000 |
| გრანტები | 14286399 | 11212561 | 5422577 | 5789984 | 6458600 | 6458600 |
| სხვა შემოსავლები | 865435 | 907477 | | 907477 | 904000 | 904000 |

## მუხლი 4. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 1 350 000 ლარის ოდენობით

| დასახელება | 2016 წლის ფაქტი | 2017 წლის გეგმა | | | 2018 წლის პროექტი | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | საკუთარი შემოსავლები |
| **გადასახადები** | **1553670** | **1550000** | **0** | **1550000** | **1350000** | **1350000** |
| საშემოსავლო გადასახადი | 480296 | 550000 | | 550000 | 450000 | 450000 |
| ქონების გადასახადი | 1073374 | 1000000 | 0 | 1000000 | 900000 | 900000 |
| საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 400529 | 400000 | | 400000 | 400000 | 400000 |
| უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 0 | 0 | | | 0 | |
| ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 17723 | 10000 | | 10000 | 10000 | 10000 |
| სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 130024 | 90000 | | 90000 | 50000 | 50000 |
| არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 525098 | 500000 | | 500000 | 440000 | 440000 |

## მუხლი 5. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 6458600 ლარის ოდენობით

| დასახელება | 2016 წლის ფაქტი | 2017 წლის გეგმა | 2018 წლის პროექტი |
|---|---|---|---|
| **გრანტები** | **14286399** | **11230075** | **6458600** |
| **საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები** | | 17514 | |
| **სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი** | 14286399 | 11212561 | 6458600 |
| **ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები** | 5516100 | 5574200 | 6458600 |
| **გათანაბრებითი ტრანსფერი** | 5296100 | 5354200 | 6238600 |
| **მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად** | 220000 | 220000 | 220000 |
| **ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები** | 8770299 | 5422577 | 0 |
| საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები | 3847552 | 3815577 | |
| სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 806257 | | |
| საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხები | 250000.0 | | |
| სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე | 3866490 | 1607000 | |
| აზიური ფაროსანის წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების შესახებ | | 215784 | |

## მუხლი 6 ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 904000 ლარის ოდენობით

| დასახელება | 2016 წლის ფაქტი | 2017 წლის გეგმა | 2018 წლის პროექტი |
|---|---|---|---|
| **სხვა შემოსავლები** | **865435** | **907477** | **904000** |
| შემოსავლები საკუთრებიდან | 106609 | 233777 | 170000 |
| პროცენტები | | | |
| რენტა | 106609 | 233777 | 170000 |
| მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის | 90818 | 213777 | 150000 |
| შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან | 8813 | 10000 | 10000 |
| მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვისათვის | 6978 | 10000 | 10000 |

| დასახელება | 2016 წლის ფაქტი | 2017 წლის გეგმა | 2018 წლის პროექტი |
|---|---|---|---|
| საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია | 43242 | 23700 | 34000 |
| ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები | 8070 | 13700 | 13000 |
| ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის | 8056 | 13700 | 13000 |
| სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი | 14 | | |
| შემოსავლები მომსახურების გაწევიდან | 35172 | 10000 | 21000 |
| ჯარიმები, სანქციები და საურავები | 694475 | 650000 | 700000 |
| შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები | 21109 | | |

## თავი III

## ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები, არაფინანსური აქტივები და მათი ფუნქციონალური კლასიფიკაცია

### მუხლი 7. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 8588600 ლარის ოდენობით

| დასახელება | 2016 წლის ფაქტი | 2017 წლის გეგმა | | | 2018 წლის პროექტი | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | საკუთარი შემოსავლები |
| **ხარჯები** | **8426772** | **8306568** | **282000** | **8024568** | **8588600** | **8588600** |
| შრომის ანაზღაურება | 1758160 | 1576800 | 0 | 1576800 | 1560000 | 1560000 |
| საქონელი და მომსახურება | 767683 | 1002404 | 0 | 1002404 | 1351000 | 1351000 |
| სუბსიდიები | 4830094 | 5047064 | 0 | 5047064 | 5297000 | 5297000 |
| გრანტები | 535113 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 344348 | 343500 | 0 | 343500 | 364600 | 364600 |
| სხვა ხარჯები | 191374 | 336800 | 282000 | 54800 | 16000 | 16000 |

### მუხლი 8. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 119000 ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 164000 ლარის ოდენობით

| კოდი | დასახელება | 2016 წლის ფაქტი | 2016 წლის გეგმა | 2018 წლის პროექტი |
|---|---|---|---|---|
| 01 00 | წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება | 3975 | 24650 | 9000 |
| 02 00 | თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება | 0 | 0 | 0 |
| 03 00 | ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია | 7931947 | 4546580 | 55000 |
| 04 00 | განათლება | 482798 | 744380 | 50000 |
| 05 00 | კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები | 67535 | 91400 | 50000 |
| 06 00 | მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 200 | 161545 | 0 |
| | **სულ ჯამი** | **8486455** | **5568555** | **164000** |

ბ) განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 45000 ლარის ოდენობით

| დასახელება | 2016 წლის ფაქტი | 2017 წლის გეგმა | 2018 წლის პროექტი |
|---|---|---|---|
| **არაფინანსური აქტივების კლება** | **692506** | **263500** | **45000** |
| ძირითადი აქტივები | 659660 | 134400 | 20000 |
| არაწარმოებული აქტივები | 32846 | 129100 | 25000 |
| მიწა | 32846 | 129100 | 25000 |

**მუხლი 9. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაცია**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რეადაქციით

| ფუნქციო ნალური კოდი | დასახელება | 2016 წლის ფაქტი | 2017 წლის გეგმა | 2018 წლის პროექტი |
|---|---|---|---|---|
| **7.1** | **საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება** | **2227666** | **2343350** | **2507000** |
| 7.1.1 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები | 2227666 | 2343350 | 2507000 |
| 7.1.1.1 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა | 2227666 | 2313350 | 2477000 |
| 7.1.1.2 | ფინანსური და ფისკალური საქმიანობა | 0 | 30000 | 30000 |
| **7.2** | **თავდაცვა** | **108737** | **110750** | **137000** |
| 7.22 | სამოქალაქო თავდაცვა | 108737 | 110750 | 137000 |
| **7.3** | **საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება** | **0** | **0** | **0** |
| 7.32 | სახანძრო-სამაშველო სამსახური | 0 | 0 | 0 |
| **7.4** | **ეკონომიკური საქმიანობა** | **5580121** | **3700367** | **235000** |
| 7.42 | სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა | 877469 | 349534 | 135000 |
| 7.421 | სოფლის მეურნეობა | 877469 | 349534 | 135000 |
| 7.45 | ტრანსპორტი | 4702652 | 3350833 | 100000 |
| 7.451 | საავტომობილო ტრანსპორტი და გზები | 4702652 | 3350833 | 100000 |
| **7.5** | **გარემოს დაცვა** | **548123** | **535000** | **741500** |
| 7.51 | ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება | 548123 | 535000 | 741500 |
| **7.6** | **საბინაო კომუნალური მეურნეობა** | **3344201** | **2181982** | **527000** |
| 7.61 | ბინათმშენებლობა | 174372 | 409800 | 0 |
| 7.63 | წყალმომარაგება | 1163 | 4500 | 12000 |
| 7.64 | გარე განათება | 555932 | 533400 | 460000 |
| 7.66 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო კომუნალურ მეურნეობაში | 2612734 | 1234282 | 55000 |
| **7.7** | **ჯანმრთელობის დაცვა** | **130384** | **285545** | **125000** |
| 7.74 | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება | 130384 | 285545 | 125000 |
| **7.8** | **დასვენება, კულტურა და რელიგია** | **3022918** | **1863814** | **1775000** |
| 7.81 | მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში | 1906800 | 777800 | 740000 |
| 7.82 | მომსახურება კულტურის სფეროში | 1061118 | 1046014 | 995000 |
| 7.84 | რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა | 55000 | 40000 | 40000 |
| **7.9** | **განათლება** | **2172598** | **2660100** | **2200000** |
| 7.91 | სკოლამდელი აღზრდა | 2172598 | 2660100 | 2200000 |
| **710** | **სოციალური დაცვა** | **449283** | **470900** | **510100** |
| 7102 | ხანდაზმულთა სოციალური დაცვა | 600 | 1000 | 1000 |
| 7104 | ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა | 33400 | 32000 | 32800 |
| 7106 | საცხოვრებლით უზრუნველყოფა | 212960 | 173000 | 170000 |

| ფუნქციონალური კოდი | დასახელება | 2016 წლის ფაქტი | 2017 წლის გეგმა | 2018 წლის პროექტი |
|---|---|---|---|---|
| 7107 | სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას | 15000 | 20000 | 30000 |
| 7109 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში | 187323 | 244900 | 276300 |
| | **სულ** | **17584031** | **14151808** | **8757600** |

## თავი IV

## ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება

**მუხლი 10. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო**
განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო 5,0 ათასი ლარის ოდენობით.

**მუხლი 11 ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება**
განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ფინანსური აქტივების ცვლილება 0,0 ათასი ლარის ოდენობით.

**მუხლი 12. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება**
განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების კლება 5,0 ათასი ლარის ოდენობით.

## თავი V

## ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები 2018-2021 წლებისთვის, პროგრამები/ქვეპროგრამები

**მუხლი 13. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები,**

- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია;
- განათლება;
- კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;
- მმართველობა და თავდაცვა.

**1.ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)**

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება ბიუჯეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - რეაბილიტაცია და არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა.

**1.1. საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვის პროგრამა** (პროგრამული კოდი 03 01)

**პროგრამის მიზანი:** პროგრამის მიზანია ლანჩხუთის მინუციპალიტეტში ადგილობრივი მნიშვნელობის გზები შეესაბამებოდეს სტანდარტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

**პროგრამის აღწერა:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ადგილობრივი მნიშვნელობის დაახლოებით 572,6 კმ. გზა. საიდანაც მოხლოდ 15 პროცენტამდე აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს, ხოლო დანარჩენი ექვემდებარება შემდგომ რეაბილიტაციას. აღნიშნულიდან გამომდინარე ასეთ გზებზე გადაადგილებისას მოსახლეობას უწევს არაკოფორტულად და ხანგრძლევი დროით მგზავრობა. აღნიშნულიდან გამომდინარე იგეგმება ადგილობრივი გზების მშენებლობა რეაბილიტაცია და არსებულის მოვლა შენახვა.

**1.2. კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის პროგრამა** (პროგრამული კოდი 03 02)

**პროგრამის მიზანი:** პროგრამის მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კომუნალური სერვისების გამართული ფუნქციონირება და ამ სერვისებით მოსახლეობის მაქსიმალური მოცვა.

**პროგრამის აღწერა:** პროგრამა მოიცავს წყლის სისტემების, გარე-განათების და დასუფთავების სერვისების მიწოდებას. არსებული სიტუაციით, მუნიციპალიტეტში სრულად ვერ ხდება აღნიშნული სერვისების ხარისხიანი მიწოდება მოსახლეობისათვის. რისთვისაც საჭიროა აღნიშნული მიმართულებებით სხვადასხვა ღონისძიებების გატარება.

**1.2.1. წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის ქვეპროგრამა** (პროგრამული კოდი 03 02 03)

**ქვეპროგრამის მიზანი:** წყლის სისტემების გამართული ფუნქციონირება.

**ქვეპროგრამის აღწერა:** ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მოსახლეობისათვის წყლის მიწოდების ხელშეწყობა, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება წყალსადენის ექსპლოატაციაზე გახარჯული ღირებულების გადახდა.

**1.2.2. გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის ქვეპროგრამა** (პროგრამული კოდი 03 02 05)

**ქვეპროგრამის მიზანი:** გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება.

**ქვეპროგრამის აღწერა:** გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია - დახარჯული ელექტროენერგიის ღირებულების ანაზღაურება და მოვლა პატრონობის ხარჯები. გარე განათების მოვლა პატრონობას უზრუნველყოფს ა(ა)იპ ,,ლანჩხუთი-ტექ-სერვისი“.

### 1.2.2.1. ა(ა)იპ ლანჩხუთი ტექსერვისი ( 433642490) (პროგრამული კოდი 03 02 05 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის მუნიციპალიტეტის განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაციის მოვლა პატრონობის ხარჯები.

### 1.2.2. 2. გარე განათების ელექტროენერგიის ღირებულება (პროგრამული კოდი 03 02 05 02)

მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განათება, დახარჯული ელექტროენერგიის ღირებულების ანაზღაურება განხორციელდება ქვეპროგრამის ფარგლებში.

### 1.2.3. დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 06)

**ქვეპროგრამის მიზანი:** სანიტარული წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება.

**ქვეპროგრამის აღწერა:** ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქის სანიტარული წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება; ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან; სხვადასხვა სპორტული და კულტურული ღონისძიებების ჩატარებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი ნარჩენების დაგვა–დასუფთავება და მისი ოპერატიულად გატანა. ასევე მუნიციპალიტეტში არსებული სკვერების მოვლა და გამწვანების სამუშაოების ჩატარება, სასაფლაოების მოვლა პატრონობა. დასუფთავების მომსახურებას უზრუნველყოფს ა(ა)იპ ,,ლანჩხუთი სერვისი“.

### 1.2.3.1. ა(ა)იპ ლანჩხუთი სერვისი (433642677) (პროგრამული კოდი 03 02 06 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა–დასუფთავება და ნარჩენების გატანა, ასევე მუნიციპალიტეტში არსებული სკვერების მოვლა და გამწვანების სამუშაოების ჩატარება, სასაფლაოების მოვლა პატრონობა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დაცვა მაწანწალა ძაღლებისაგან.

## 1.3. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებების პროგრამა (პროგრამული კოდი 03 03)

**პროგრამის მიზანი:** მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი და განხორციელებული კეთილმოწყობის ღონისძიებების ხარისხიანობის უზრუნველყოფა.

**პროგრამის აღწერა:** პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა, ინფრასტრუქტურული ობიექტების საპროექტო დოკუმენტაციის, სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა.

**1.3.1 საპროექტო დოკუმენტაციის, საექსპერტო მომსახურების და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვისთვის გამოყოფილი თანხა (პროგრამული კოდი 03 03 02)**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა, ინფრასტრუქტურული ობიექტების საპროექტო დოკუმენტაციის, სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვის დაფინანსება.

**1.4. სოფლის მეურნების მხარდაჭერის ღონისძიებების პროგრამა (პროგრამული კოდი 03 05)**

**პროგრამის მიზანი:** მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის განითარების ხელშეწყობა.

**პროგრამის აღწერა:** პროგრამა ახორციელებს მუნიციპალიტეტში ფერმერული მეურნეობის განვითარების ხელშეწყობას, საგარეო-ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობების, ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმისა და მეწარმეობის განვითარების ხელშემწყობას. პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს ა(ა)იპ „საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობების, ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმის და მეწარმეობის განვითარების ცენტრი.

**1.4.1 ა(ა)იპ „საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობების, ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმის და მეწარმეობის განვითარების ცენტრი ს/კ 233733984 (პროგრამული კოდი 03 05 02)**

ქვეპროგრამა ახორციელებს საერთაშორისო ორგანიზაციებთან , დონორებთან და ძმობილებულ ქალაქებთან ურთიერთობის გაღრმავების ხელშეწყობას.

ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწობას სოფლის მეურნეობაში.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მგზავრების გადაყვანის ხელშეწყობას.

ტურიზმის განვითარების ხელშეწყობას.

მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობას.

აგრობიზნესის განვითარების ხელშეწყობას.

**2. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)**

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა.

## 2.1 სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხელშეწყობის პროგრამა
(პროგრამული კოდი 04 01)

**პროგრამის მიზანი:** პროგრამის მიზანია საბავშვო ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, გაიხსნას ბაგა–ბაღები ისეთ სოფლებში, სადაც ბაღების გახსნისთვის შესაბამისი კონტიგენტი არის და უზრუნველყოფილი იქნას მათი კეთილმოწყობა და კვალიფიციური პერსონალით მომსახურეობა. მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა–შენახვა.

**პროგრამის აღწერა:** მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრი, რომელიც აერთიანებს 21 საბავშვო ბაღს, სადაც სკოლამდელ განათლებას იღებს 1250–ზე მეტი ბავშვი. საბავშვო ბაღებში სწავლა უფასოა, ძირითადად ფინანსდება ბავშვების კვების ხარჯები. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა სხვა ხარჯს, მათ შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს.

## 3. კულტურა, რელიგია , ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები
**(პროგრამული კოდი 05 00)**

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე ერთ–ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება, ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ჩატარებას.

### 3.1. სპორტის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 05 01)

**პროგრამის მიზანი:** მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოსახლეობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება.

**პროგრამის აღწერა:** პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტსმენთა მომზადების ორგანიზაციული და მეთოდური ხელშეწყობა, სპორტულ ასოციაციასთან, კავშირებთან, სპორტულ ფედერაციებთან და სხვადასხვა სპორტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა. კლუბების, ნაკრები გუნდების მომზადება და მონაწილეობა ქვეყნის ასპარეზობებში. 2018 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტული ცენტრის, საფეხბურთო სკოლების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ

სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა. ასევე განხორციელდება სტადიონის მოვლა პატრონობის ხარჯების დაფინანსება.

**3.1.1. ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრი /კ 433642178 (პროგრამული კოდი 05 01 03)**

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩართვა სისტემატიურ სპორტულ გამაჯანსაღებელ მოძრაობაში, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და დამკვიდრება. სკოლა აერთიანებს ძიუდოს, ბალახის ჰოკეის, ჭადრაკის, მაგიდის ჩოგბურთის, ცურვის, კარატე დოს, რაგბის, თავისუფალი ჭიდაობის, ბერძნულ რომაული ჭიდაობის, ქართული ჭიდაობის, ხელბურთის, კრივის სპორტულ წრეებს, სადაც გაერთიანებულია 335 სპორტსმენი. მუნიციპალიტეტიდან ფინანსდება ყველა მიმდინარე ხარჯი.

**3.1.2. ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გოგონათა ექსპერიმენტალური სარაგბო-საფეხბურთო სკოლა ს/კ 433645004 (პროგრამული კოდი 05 01 04)**

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ა(ა)იპ გოგონათა ექსპერიმენტალური სარაგბო - საფეხბურთო სკოლის ყველა ხარჯის დაფინანსება, რომელიც ემსახურება გოგონათა მაქსიმალური რაოდენობის ჩართვას სისტემატიურ სპორტულ გამაჯანსაღებელ მოძრაობაში და მომავალი თაობების ჩამოყალიბებას პროფესიონალ ფეხბურთელებად, მორაგბეებად.

**3.1.3. ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა ს/კ 433642203 (პროგრამული კოდი 05 01 06)**

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლის ყველა ხარჯის დაფინანსება, რომელიც ემსახურება ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩართვას სისტემატიურ სპორტულ გამაჯანსაღებელ მოძრაობაში და მომავალი თაობების ჩამოყალიბებას პროფესიონალ ფეხბურთელებად.

**3.1.4 შ.პ.ს ,,ლანჩხუთი " ს/კ 233645419 (პროგრამული კოდი 05 01 08)**

ქვეპროგრამით განხორციელდება საფეხბურთო სტადიონის მოვლა პატრონობის ხარჯების დაფინანსება

**3.2 კულტურის განვითარების ხელშეწყობის პროგარმა** (პროგრამული კოდი 05 02)

**პროგრამის მიზანი:** მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის კულტურული ღონისძიებებით დაინტერესება, მოსწავლე ახალგაზრდობის თავისუფალი დროის სწორად ორგანიზება და ტრადიციებისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და განვითარება.

**პროგრამის აღწერა:** მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აგრძელებს სხვადასხვა კულტურული ობიექტების

ფინანსურ მხარდაჭერას. განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, თეატრალური, მუსიკალური, სახვითი, ქორეოგრაფიული ფესტივალების, კონცერტების, მუზეუმებში გამოფენის მოწყობა, ასევე სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები. დაფინანსდება მუნიციპალური კულტურის ცენტრი, რომელიც ეწევა მოსახლეობის კულტურულ საგანმანათლებლო და შემეცნებით მოღვაწეობას; ხალხური ხელოვნების ყველა დარგის განვითარების ხელშეწყობას; ეროვნული ტრადიციების წეს ჩვეულებების პოპულარიზაციას; ფოლკლორული ანსამბლების ნიჭიერი ინდივიდუალური შემსრულებლების საქმიანობის ხელშეწყობას.

პროგრამა ითვალისწინებს მოსახლეობის მოთხოვნების ინტერესების შესწავლას და ანალიზს, მათი მომსახურებისათვის სათანადო პირობების შექმნა. ქართული ეროვნული ბიბლიოგრაფიის მასალების მოპოვება, ქსელი აერთიანებს 14 ბიბლიოთეკას. ბიბლიოთეკა ახორციელებს შემდეგ ღონისძიებებს: ქალაქის და სოფლის ბიბლიოთეკების ხელშეწყობას; წიგნადი ფონდის შევსებას თანამედროვე ლიტერატურით და დაკომპლექტებას ყველა ასაკობრივი კატეგორიის მიხედვით, ითვალისწინებს კულტურული ობიქტების მოძიებას და პოპულარიზაციას, სამუზეუმო საქმიანობისთვის ხელშეწყობას. ქსელი აერთიანებს 3 მუზეუმს.

ახორციელებს სკოლისგარეშე სახელოვნებო დაწესებულებების ფინანსურ მხარდაჭერას მათ შორის:

სამუსიკო სკოლის დაფინანსებას, სადაც განათლებას იღებს 230–ზე მეტი ბავშვი, სწავლის გადასახადი შეადგენს 15 ლარს, საკუთარი სახსრებით ფინანსდება ნაწილობრივ ხელფასი და ხარჯები მთლიანად, სუფსიდიით ხდება ხელფასის დაფინანსება. სკოლის მიზანია მიაღებინოს მოსწავლეებს მუსიკალური განათლება, წარმატებული მოსწავლეების გამოსავლენად ჩაატაროს საანგარიშო კონცერტები. სამხატვრო სკოლის დაფინანსებას სადაც განათლებას იღებს 100– მდე ბავშვი, ხდება ხელფასის და სხვა მიმდინარე ხარჯების დაფინანსება. სკოლის მიზანია მისცეს მოსწავლეებს დაწყებითი სამხატვრო განათლება, გააცნოს და შეაყვაროს მოსწავლეებს ეროვნული კულტურული მემკვიდრეობა, ქართული და მსოფლიო ხელოვნების ნიმუშები.

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის მოსწავლე–ახალგაზრდობისათვის სხვადასხვა სახის ღონისძიებების ორგანიზების ხელშეწყობას, წარმატებული მოსწავლე ახალგაზრდობის წახალისებას სხვადასხვა სახის პრიზებით და საჩუქრებით. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება კულტურულ-სპორტული ღონისძიებები: სახელმწიფო, სახალხო და რელიგიური დღესასწაულის აღსანიშნავი ღონისძიებები; საშემსრულებლო, ვიზუალური, თანამედროვე ხელოვნების, ქართული ფოლკლორის განვითარებისა და პოპულარიზაციისათვის ფესტივალები და კონცერტები; სხვადასხვა ქვეყნების ქალაქების კულტურულ და შემოქმედებით კოლექტივებთან და ინტელიგენციასთან კონტაქტების დამყარება და არსებული ურთიერთობების გაღრმავება; გამოჩენილი ადამიანების და საზოგადო მოღვაწეების საიუბილეო ღონისძიებების და შემოქმედებითი საღამოები; მაშტაბური სადღესასწაულო ღონისძიებების ორგანიზება; კულტურულ–საგანმანათლებლო და სხვა

ღონისძიებები. კულტურის ობიექტების რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის კუთხით განხორციელდება ჭადრაკის სახლის რეაბილიტაცია.

### 3.2.1 ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანება ს/კ 233731478 (პროგრამული კოდი 05 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება მუნიციპალური კულტურის ცენტრი, რომელიც ეწევა მოსახლეობის კულტურულ საგანმანათლებლო და შემეცნებით მოღვაწეობას; ხალხური ხელოვნების ყველა დარგის განვითარების ხელშეწყობას; ეროვნული ტრადიციების წეს ჩვეულებების პოპულარიზაციას; ფოლკლორული ანსამბლების ნიჭიერი ინდივიდუალური შემსრულებლების საქმიანობის ხელშეწყობას.

მოსწავლე ახალგაზრდობის თავისუფალი დროის სწორად ორგანიზებას მიზნობრივი წრეების, სტუდიების, ფოლკლორული ანსაბლების ჩამოყალიბებას.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მოსახლეობის მოთხოვნების ინტერესების შესწავლას და ანალიზს, მათი მომსახურებისათვის სათანადო პირობების შექმნა. ქართული ეროვნული ბიბლიოგრაფიის მასალების მოპოვება, ქსელი აერთიანებს 14 ბიბლიოთეკას. ბიბლიოთეკა ახორციელებს შემდეგ ღონისძიებებს: ქალაქის და სოფლის ბიბლიოთეკების ხელშეწყობას; წიგნადი ფონდის შევსებას თანამედროვე ლიტერატურით და დაკომპლექტებას ყველა ასაკობრივი კატეგორიის მიხედვით, ითვალისწინებს კულტურული ობიქტების მოძიებას და პოპულარიზაციას, სამუზეუმო საქმიანობისთვის ხელშეწყობას. ქსელი აერთიანებს 3 მუზეუმს.

ახორციელებს სკოლისგარეშე სახელოვნებო დაწესებულებების ფინანსურ მხარდაჭერას მათ შორის:

- სამუსიკო სკოლის დაფინანსებას, სადაც განათლებას იღებს 230–ზე მეტი ბავშვი, სწავლის გადასახადი შეადგენს 15 ლარს, საკუთარი სახსრებით ფინანსდება ნაწილობრივ ხელფასი და ხარჯები მთლიანად, სუფსიდიით ხდება ხელფასის დაფინანსება. სკოლის მიზანია მიაღებინოს მოსწავლეებს მუსიკალური განათლება, წარმატებული მოსწავლეების გამოსავლენად ჩაატაროს საანგარიშო კონცერტები. სამხატვრო სკოლის დაფინანსებას სადაც განათლებას იღებს 100– მდე ბავშვი, სუფსიდიით ხდება ხელფასის და სხვა მიმდინარე ხარჯების დაფინანსება. სკოლის მიზანია მისცეს მოსწავლეებს დაწყებითი სამხატვრო განათლება, გააცნოს და შეაყვაროს მოსწავლეებს ეროვნული კულტურული მემკვიდრეობა, ქართული და მსოფლიო ხელოვნების ნიმუშები.

### 3.2.2. სოც კულტურული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 02 06)

